საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

21/10/2021 N 314

თბილისი

შპს „ლუკა-2017“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61–ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის N37/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 20 ივნისის N91/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შეწყდეს შპს „ლუკა-2017“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი N445521007) ვალუტის გადამცვლელი პუნქტზე გაცემული ფილიალის საქმიანობის ნებართვა, მისამართზე: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი სარფი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ლუკა-2017“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფილიალის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2020 წლის 30 მარტის N193 განკარგულება.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი